



გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
საქართველოს სახელით

31 იანვარი, 2010 წელი

ქ.ქუთაისი

შესავალი ნაწილი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო  
სასამართლოს დასახელება

მოსამართლე გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი ნანა კახიძე

მოსარჩელე  
წარმომადგენელი  
მოპასუხე  
წარმომადგენელი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;  
ფატი ფურცხვანიძე;

დავის საგანი:

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალდებულება;

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნას ცნობილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების განყოფილების უფროსის 2010 წლის 10 სექტემბრის №469-2110 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯარო დაწესებულების დაშტრიზვის ნაწილში;

1.2. ბათილად იქნას ცნობილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება;

1.3. დაევალოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2010 წლის 9 სექტემბრის №გ-04/266-10

განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის დაუმტრიხავად (საჯარო დაწესებულებების ნაწილში) გაცემა;

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ 2009 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე პერიოდში ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები გაცემული იქნა სასამართლო დავაში მხარედ მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს დაშტრიხვით, რასაც კანონშეუსაბამოდ მიიჩნევს და თვლის, რომ საჯარო დაწესებულება, როგორც სახელმწიფოს ნაწილი, დავის მიზნებისათვის არ შეიძლება იყოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული უფლების სუბიექტი და შესაბამისად მასზე ვერ გავრცელდება პირადი საიდუმლოების გამხელისაგან დაცვის უფლება. ამდენად მიიჩნევს, რომ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები (იხ. ს.ფ. 2-9, სხდომის ოქმი ს.ფ. 63-66);

**2. მოპასუხის პოზიცია**

**2.1.** ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო არის პირი, რომლის მიმართ არსებული პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისას დაცული უნდა იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით დადგენილი დებულებანი. აღნიშნულიდან გამომდინარე საჯარო ინფორმაციის მოსარჩელეზე გაცემისას დაშტრიხული იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ სახელი (და არა საქმიანობა), ვინაიდან მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა აღნიშნული პირის თანხმობა, რის შესაბამისად თვლის, რომ სადავო აქტები შესაბამისობაშია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი (იხ. ს.ფ. 50-51, სხდომის ოქმი, ს.ფ. 66-67);

**3. ფაქტობრივი გარემოებები**

**3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები**

**3.1.1.** დადგენილია, რომ მოსარჩელემ 2010 წლის 9 სექტემბერს №გ-04/266-10 განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და 2009 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის პირველ სექტემბრამდე პერიოდში ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების ასლების გაცემა მოითხოვა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების განყოფილების უფროსის 2010 წლის 10 სექტემბრის №469-2110 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

და,  
ორ  
მაც  
სა  
-  
-  
-  
23  
-  
-  
22  
3.1  
წ  
ახ  
სე  
(ს  
სა  
-  
2:  
3.  
3.  
4  
ს.  
წ  
ფ  
მ  
დ  
5  
ს  
”

ბების  
ალოს  
2010  
ხებზე  
სარედ  
ამოდ  
წილი,  
ქორე  
უდება  
რომ  
ბრივი

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოსარჩელეს მოთხოვილი საჯარო ინფორმაცია-  
ორი განჩინება და ერთი გადაწყვეტილება გადაეცა დავაში მონაწილე მხარეების,  
მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს მიუთითებლად;

**სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:**

- მხარეთა ახსნა-განმარტებები (იხ. სხდომის ოქმი, ს.ფ. 63-67);
- სარჩელი და შესაგებელი (იხ. ს.ფ. 1-13; 47-54);
- 2010 წლის 10 სექტემბრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (იხ. ს.ფ. 23);
- ადმინისტრაციული საჩივარი (იხ. ს.ფ. 24,-29);
- 2010 წლის 12 ნოემბრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (იხ. ს.ფ. 15-22);

**3.1.2.** დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული საჩივარი 2010 წლის 10 სექტემბრის №469-2110 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (საჯარო დაწესებულების დაშტრიხვის ნაწილში) ბათილად ცნობის შესახებ;

**სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:**

- 2010 წლის 12 ნოემბრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (იხ. ს.ფ. 15-22);

**3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები**

**3.2.1.** მხარეებს სადავო ფაქტობრივი გარემოებები არ გააჩნიათ.

**სამოტივაციო ნაწილი**

**4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა**

სარჩელის განხილვის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, მათი წარმომადგენლების სამართლებრივი პოზიციის გაანალიზებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

**5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე, 37-ე, 42-ე მუხლები; „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

და  
უის  
ტის  
ქლი  
ნდა  
ლი  
ქზე  
(და  
ლა  
ები  
სის  
ა.ფ.

-10  
ის  
ის  
ემა  
და  
ის  
ით

## 6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში.

დასახელებული კოდექსის 27-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო ინფორმაციად მიჩნეულია ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია;

ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება არის ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში;

სასამართლო აღნიშნავს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა ვრცელდება ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაზე. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ღიაობა პრეზუმირებულია გარდა კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა. კერძოდ:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ყველას აქვს უფლება იცოდეს სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს კომერციულ, პირად და პროფესიულ საიდუმლოებას;

ზემოაღნიშნული ნორმების ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია, გარდა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების, ასევე საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლში მითითებული

სხვა საკითხებისა, მოიცავს მის დასახელებასაც, რომელიც არ შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავით დაცულ ინფორმაციას, რაც გარდა ზემოთქმულისა, გამყარებულია კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო დაწესებულებასთან გაიგივებით და იგი ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის საჯაროობის, საქვეყნოობის, ღიაობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას; აღნიშნული კი თავისთავად მოიცავს პირის უფლებას მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული საჯარო ინფორმაცია სასამართლო დავაში მხარედ მონაწილე საჯარო დაწესებულების მონაცემების, მათ შორის დასახელების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ სასამართლო დავაში მხარედ მონაწილე საჯარო დაწესებულების დასახელების მიუთითებლად საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ გამომდინარეობს დასახელებული ნორმების მოთხოვნებიდან, რის გამოც არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

**7. საპროცესო ხარჯები**

საპროცესო ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი (იხ.ს.ფ. 30), რის გამოც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ეკისრება მისი ანაზღაურების ვალდებულება, ვინაიდან სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 24-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით და

**ბ ა დ ა ვ ყ მ ვ ი ტ ა:**

1. **სარჩელი დაკმაყოფილდეს;** (წარმომადგენელი)
2. ბათილად იქნას ცნობილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების განყოფილების უფროსის 2010 წლის 10 სექტემბრის №469-2110 ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯარო დაწესებულების დასახელების მიუთითებლობის ნაწილში და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის 2010 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება;

3. დაეკალოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გაცეს 2010 წლის 9 სექტემბრის №გ-04/266-10

განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების დასახელების მითითებით;

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს

სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელის აღძვრისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარის ანაზღაურება.

5. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის. ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა №32) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მის. ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11) მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

მოსამართლე

გონა აბუსერიძე

ქ  
№3

და